

გურამ გინსურაძე

# ევზიკა



ამერიკისა და ალბორის კუნძულის უძველეს  
სივილიზაციებში ქართული კვალის შესახებ

გურამ მაისურაძე

# ე ვ ზ ი კ ა

ამერიკისა და ადღომის კუნძულის უძველეს  
ცივილიზაციებში ქართული კვალის შესახებ



ვუძღვნი დიდი მეცნიერი-ეთნოგრაფის,  
ნორვეგიის ეროვნული გმირის ტურ  
ჰეიერდალის ხსოვნას



ISBN 978-9941-8-0902-6

\*\*\*

მრავალი ათასი წლის წინ ევრაზიის დიდი ნაწილი – ინდოეთი, შუამდინარეთი, წინა აზია, კავკასია, იტალია და ხმელთაშუა ზღვის აუზი, პირინეი, ევროპის დიდი ნაწილი და ბრიტანეთი იბერიულ რასას ეკავა. იყო შუმერი, იყო სუბარულ-ხეთური და პელაზგური სამყაროები, იყო მითანი, იყო ქალდეა, იყო ურარტუ, იყო ეტრუსკული აპენინები, იყო იბერიის ნახევარკუნძული ანუ პირინეი დედამდინარე იბერუსით, იყო ბრიტანეთის იბერნია და იყვნენ კელტიბერები ევროპის სივრცეებზე, რომელთაც ჩვენი ათონელი წმინდა მამები კულტქართველებად უხმობდნენ... და იყო ერთიანი იბერიული, წინარექართული ანუ პროტობერიული ენა. ათასწლეულების ქარტეხილებმა გადაუქროლეს დედამიწას, ბევრგან უცხო თესლ-ტომი ჩაენაცვლა მათ და ერთმანეთს დაშორდა იბერიული ენები და მოდგმანი... და ვართ იმ იბერთა მემკვიდრე ნამსხვრევები დედამიწაზე – არის ირლანდიური, არის ბასკური, არის კორსიკული, არის სვანური, არის მეგრული, არის იბერიულ-კავკასიურ ენათა 32 წევრიანი ოჯახი და არის დიდებული ქართული, ზოგადქართული დედაენა, „ენაი შემკული და კურთხეული“. ისინი ათასწლეულების სიღრმიდან მოარღვევენ წუთისოფლის ნარ-ეკლიან დადა-ღუდეებს. „პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთი“. ვინც ეს თქვა და სიტყვა ღმერთს გაუტოლა, ბრძენი იყო, კარგად უწყოდა სიტყვის ძალა, ანუ სიტყვა უკვდავია ვითარცა ღმერთით. ზოგი სიტყვა 5-7-10 ათასი წლის სიღრმიდან, იმ წინარექართული, პროტობერიული ენიდან მოდის და ცოცხალია. სწორედ ასეთ სიტყვათა უკვდავების წყალობით იბერიული გენი დღესაც ხელშესახებია ათასწლეულების ქარტეხილების მიუხედავად: შუმერულ, ქართულ, მეგრულ, სვანურ, ბასკურ, ეტრუსკულ, ურარტულ, ხეთურ-სუბარულ ლექსიკაში უამრავი საერთო სიტყვის ძირია და ამა თუ იმ საკითხის კვლევაში შემწეობას უნდა გვიწევდეს.

მრავალი მეცნიერის დასკვნით იბერიელები დედამიწის პირველდაწყებითი მოდგმაა. მეცნიერები იმაზეც შეთანხმდნენ, რომ დედამიწაზე ცივილიზაცია შემერებიდან იწყებაო. მაგრამ ბრიენი ამბობენ: არაფერ იცის შემერები ვინ იყვნენ, საიდან მოვიდნენ და სად გაქრნენ – ისინი უნათესავო ხალხი იყო. ამერიკაში XVI საუკუნეში შეჭრილ ევროპელებს დახვდათ მაიას, აცტეკების, ინკების ცივილიზაციები, რომლებიც ძველ ეგვიპტურს არ ჩამოუვარდებოდნენ მათემატიკაში, ასტრონომიაში, ხუროთმოძღვრებაში, მელითონეობაში, სოფლის მეურნეობაში. მეცნიერთა გაოგნებას იწვევს ის ამბავი, როგორ თავსდებოდა ერთად მაიასა და აცტეკების ქვეყნებში დიდი მეცნიერული ცოდნა და კაცობაობა; მეცნიერები გაოცებულნი არიან იმითაც, რომ შორეულ წარსულში პერუში – ინკების სამეფოში იყო ყველაზე სამართლიანი და სოციალურად დაცული წყობილება, რომლის მსგავსიც დედამიწაზე არ ყოფილა, თუ არ ჩავთვლით ძველ საბერძნეთს. ინკების ქვეყანაში არ იყო მდიდარი და ღარიბი, მთელი დოვლათი დიდ სახელმწიფო ბედლებში ინახებოდა და ხელისუფლება უსასყიდლოდ გასცემდა მოსახლეობაზე; არ იყო ფული, შიმშილი, სიღატაკე, სიხარბე და მომხვეჭელობა. ხელისუფლება ზრუნავდა მოხუცებსა და ავადმყოფებზეც. ქვეყანაში წარმოუდგენელი იყო სიცრუე და ღალატი, საზოგადოება იყო უაღრესად პატიოსანი.

ინდიელებმა ევროპელებს კეთილშობილურად განუცხადეს, რომ ეს დიდი მეცნიერული ცოდნა და ყველა სიკეთე მზის ამოსვლის მხრიდან ჩასულმა თეთრმა განმანათლებლებმა ასწავლეს. მაგრამ ვინ იყვნენ ისინი? ამაზე მეცნიერები პასუხს ვერ იძლევიან, თუმცა იციან, რომ ამერიკისთვის მზის ამოსვლის მხარეს ევროპა და იბერიული მიწა-წყალი იყო. შემერებისა არ იყოს, ეს ცივილიზაციებიც უპატრონოდ ცხადდება მეცნიერთა უსუსურობის გამო. არადა, არამიწიერი ხომ არ იყო, ციდან ხომ არ ჩამოვარდა, დედამიწელთაგან რომელიღაც

ერის წინაპრები ხომ უნდა ყოფილიყვნენ მისი შემოქმედნი? საკვირველია, რომ დღემდე არც ერთი ერი არ აცხადებს მემკვიდრეობაზე პრეტენზიას...

... პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთი. სიტყვამ მოიტანა საუკუნეების სიღრმიდან ცისა და მიწის სურნელი, კაცთა ნააზრვეი და ნაფიქრალი. სიტყვა ბევრ საიდუმლოებას ფარავს და ბევრზე შეუძლია პასუხის გაცემა, მათ შორის იმ „უპატრონო და უმემკვიდრეო“ ცივილიზაციებზეც. 7 ათასი წელი გვაშორებს შუმერებისგან, მაგრამ ბევრი საერთო სიტყვა გვაქვს ორივე ენის ლექსიკაში. კერძოდ, ქართულ-შუმერული სიტყვებია: გუდა, ტიკი, დოქი, თორნე, სილა (საწყაო), ხარო, გორა, ქალი, ერი, აგარა (მინდორი, აგარაკი), აშ (შუმერულად – ერთი, მეგრულად – აშთი), ბარი (დაბლობი), თვე (ითუ), ენა (ენემ), ეანა (განა), ხარი, ქუშ-ქუში – ქოშინი; ნუ (რა), ბუღბული, ნანა (დედა), შარშან (შარიშან), ასაკი (ასაქუ), კისერი (კისადუ). ღამაზი (ღამაზუ), ქალა (ქუღლუ), ნარ-ნარ (მომღერალთა გუნდს ერქვა შუმერულ ტაძრებში) ქართულში ნარნარი: 1) მეტისმეტად ნაზი, ტურფა ქალი; 2) ტკბილი, სასიამოვნო ხმა, მელოდია (ჩახრუხადის „თამარიონი“, „თამარ წყნარი, შესაწყნარი, პირმცინარი, ხმანარნარი“); 3). ნარნარი ცეკვა, ნარნარი ფრენა. სინქრონული ჰარმონიული. შუმერში სამეფო კარის დიდი მოხელე იყო სუქალმაზი (დაახლოებით პირველი მინისტრი დღევანდელი გაგებით). ამირანის უძველეს ქართულ ზღაპარში ამირანის მამობილია სულკალმაზი. ფუსადი შუმერულად – ბატონი, უფალი. იგივეს ნიშნავს სვანურში. ბაზისქუა შუმერულადაც და მეგრულადაც შევარდნის შვილს ნიშნავს. აქედან ქართული ბაზიერი. ყირამალა ერთიდაიგივეა ქართულშიც, ბასკურშიც, შუმერულშიც. ური შუმერულში ნიშნავს ნავს ქალაქს, თემს, ქვეყანას. იგივეა ქართულშიც (მახინჯაური, ამბროლაური, ფასანაური), ბრიტანეთშიც (ივერური), ინდოეთშიც (დრავიდებში – ტანჯაური, პროდტაური). ანუ ური საერთო იბერიული გეოგრაფიული ტერმინია. ური

დაბოლოება შევიდა იმავე მნიშვნელობით ქართულ და ბასკურ გვარებშიც და პიროვნების ამათუიმ თემისადმი, გვარისადმი კუთვნილებას აღნიშნავს. შუმერული წერილობითი წყაროების თანახმად ეს სიტყვები 7 ათასი წლისაა, მაგრამ სინამდვილეში ისინი გაცილებით ძველი ასაკისა უნდა იყოს. ხოლო თუ ერთიანმა წინარქართულმა ენამ 5 ათასი წლის მიჯნამდე იარსება, მაშინ იბერიულ ენებში უნდა იყოს შემორჩენილი, ანდა ღვთაებათა სახელებში.

რას ნიშნავს სახელწოდებანი იბერი და შუმერი? იბ-ერი, შუმ-ერი, სიტყვა ერი უცვლელად შემორჩა ქართულშიც, ბასკურშიც, შუმერულშიც და ნიშნავს ერთი და იგივეს. ერი ხალხია, მოდგმაა. შუმერი: ქართულში ცოცხალია სიტყვა შუმი და ნიშნავს - სუფთა, ხალასი, შეურყენელი. იტყვიან: შუმი ღვინო – სუფთა, თავანკარა ღვინო. შუმი ერი – წმინდა, ეთნიკურად სუფთა ერი, საზეპურო ერი. შუმერები ასე უწოდებდნენ თავს და ამაცობდნენ თავისი მოდგმით. რას უნდა ნიშნავდეს „იბერის“ წინა ნაწილი „იბ“? უძველეს საქართველოში კვირის დღეების სახელწოდებები ცის მნათობებთან იყო დაკავშირებული და შორეული წინაპრების – ქალდეველებისგან გადმოგვეცა. ახ.წ. აღ. დაწყების შემდეგაც ქართულში, მეგრულში, ლაზურში, სვანურში კვირის დღეების სახელწოდებები ცის მნათობებისა და ღვთაებების აღმნიშვნელი იყო. მეგრულში კვირა – ჟაშხა (მზის ღვთაების სახელობისა, მზისა), ორშაბათი – თუთაშხა (მთვარისა), ცაშხა (ცისა)... პარასკევს ერქვა ობიშხა (ობისა). „ობ“ სიტყვის ძირია, „იშხა“ კუთვნილებითი ბოლოსართი ნათესაობითი ბრუნვის გავრცობილი ფორმით. სვანურად პარასკევს ერქვა ვებიში, ვობიში. „ვ“ თავსართია, „იში“ აქაც კუთვნილებითი ბოლოსართი ნათესაობითი ბრუნვის გავრცობილი ფორმით. „ებ“, „ობ“ სიტყვების ძირებია. სვანური და მეგრული „ობ“ ნიშნავს – წყალი, ნესტი. აქედან ქართული სიტყვა ჭაობი. სიტყვა ორფუძიანია ჭა+ობი. „ი“ სახელობითი ბრუნვის ნიშანია, დანარჩენი ორი

სიტყვების ძირებია. „ობ“ აქაც წყალის, ნესტის აღმნიშვნელია. ანუ ჭა – ობ-ი ნიშნავს ჭასავით უძირო წყალს, ღრმა ჭანჭრობს. სხვათა შორის, დღეს მეცნიერთა აზრით ჭაობი ძალზე მნიშვნელოვანია, ის გრუნტის წყლების ბუნებრივი ფილტრია. მისი ხელყოფა იწვევს სუფთა, მტკნარი წყლის მიწისქვეშა მარაგის დაკარგვას... 1967 წლის მსოფლიოს 18 სახელმწიფომ შექმნა საერთაშორისო საზოგადოება „ტელმა“, რაც ბერძნულად ჭაობს ნიშნავს. მისი მიზანია კაცობრიობას შეუნარჩუნოს მტკნარი წყლის ეს მეტად მნიშვნელოვანი ბუნებრივი მარაგი. აკად. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით ვები, ვობი, ობი ცა-ღრუბლისა და სეტყვა-მეხის, ანუ ამინდის, ტაროსის უძველესი ქართული ღვთაების სახელი უნდა იყოს. (ივ.ჯავახიშვილი ტ.1, თბ. 1979 წ. გვ.119-120). „იბ“ ბასკურად წყალს ნიშნავს. იგივეა ეტრუსკული ტ-იბ-რი (მდინარე ტიბრი), სვანური ტვიბრა. ქართულად: ტაბ-აწყური (ტბასთან, წყალთან მდებარე სოფელი აწყური, ტბის ყურთან მდებარე); მეგრული ტობა ვარჩხილი (ტბა ვერცხლისა). აქაც სიტყვების ძირებია აბ – ობ – იბ. უნდა ვივარაუდოთ, რომ „იბ“, „აბ“, „ობ“, „ებ“ ფონეტიკური ვარიაციებია წინარექართული (პროტოქართული) ენიდან მომდინარე წყალის სახელწოდებისა. ანუ იბ-ერი ნიშნავს – წყლის პირზე მცხოვრები ხალხი, ზღვის ხალხი, ზღვაოსანი ხალხი. შემთხვევითი არ არის, რომ XX საუკუნეში დიდმა ლაზმა მომდერალმა ქიაზიმ ქოინჯუმ თავის ჩამოყალიბებულ ლაზთა ანსამბლს „ზღვის შვილები“ უწოდა.

ობერიელები (ქართველური ტომები, ბასკები, კორსიკელები, კანარის კუნძულების გუანჩე, კელტიბერები) ზღვის უზარმაზარ სივრცეებს – შვიდ ზღვას და ორ ოკეანეს ფლობდნენ და ისინი ზღვებზე მცხოვრები, ზღვაოსანი ხალხი, ანუ მართლაც ზღვის შვილები იყვნენ. ეს სახელწოდება წარმოსდგა შავი ზღვის სამხრეთიდან ხმელთაშუა ზღვის ჩრდილოეთ სანაპირომდე მცხოვრები ერთ-ერთი ქართული ტომის ტაბა-



ლების სახელიდან, რაც ნიშნავდა: ტაბალები, ანუ ტბელები – ზღვის პირზე მცხოვრებლები. შორეულ წარსულში ქართველები ზღვასაც ტბას უწოდებდნენ. სულხან-საბა თავის ლექსიკონში აღნიშნავს, რომ ზღვა არის დიდი ტბაო. დღეს მეცნიერები აღიარებენ, რომ 12-15 ათასი წლის წინ შავ ზღვას ხმელთაშუა ზღვაში გასასვლელი არ ჰქონდა. ბოსფორის სრუტე არ არსებობდა. ხოლო დარდანელის სრუტით შავი ზღვა მხოლოდ ცალმხრივ გამდინარეა, ანუ მტკნარი ტბა-ზღვა, ტბა იყო. შავმა ზღვამ ახლანდელი ფორმა მიიღო - 10 ათასი წლის წინ, როდესაც დარდანელის სრუტის საშუალებით კავშირი დამყარდა ხმელთაშუა ზღვასა და ოკეანესთან, შავი ზღვა დამარილიანდა. ხმელთაშუა ზღვიდან წყლის უზარმაზარი მასა შემოიჭრა და შავი ზღვის 170 ათასი კვადრატული კილომეტრი დამატებით დაფარა. ანუ მანამდე შავ ზღვას ტბა ერქვა. ამიტომ ეწოდა ამ ტბის პირზე მცხოვრებლებს ტბელები, ანუ ტაბალები. შემდეგში სახელწოდება ტაბალი (ასურელებმა და იუდეველებმა რომ თუბალი და თაბარი ჩაწერეს), ანუ იბერი ინდოეთიდან ბრიტანეთამდე განფენილ მთელ იბერიულ მოდგმაზე გავრცელდა.

რას ნიშნავს საქართველოს მდინარეების არაგვის, რიონის, ენგურის სახელწოდებები? მათი მნიშვნელობები დღეს ქართულ ენაში დაკარგულია. საქართველოში გვაქვს რამდენიმე არაგვი: მთიულეთის ანუ თეთრი არაგვი, გუდამაყრის ანუ შავი არაგვი, ხევსურეთის არაგვი, ფშავის არაგვი. მდინარე სნოსაც არაგვი ერქვა. ძველ ქართულ წერილობით წყაროებში თერგსაც არაგვი ერქვა. ანუ არაგვი თავდაპირველად მდინარის განზოგადებული სახელი უნდა ყოფილიყო. ესპანეთში არის მდინარე არაგაია და პროვინცია არაგონა. ევროპაში არის უდიდესი მდინარე რონა ანუ რიონა. XVI-XVII საუკუნეებში ესპანელმა და პორტუგალიელმა კონკისტადორებმა ამერიკაშიც ჩაიტანეს იბერიული ადგილსახელები. დღეს შუა

და სამხრეთ ამერიკაში უამრავი არაგვი და რიონია. ბრაზილიაშია დიდი მდინარეები არაგუარი და არაგუაია, პროვინცია არაგუაია და ქალაქი არაგვაინა; ვენესუელაში – მდინარე არაგუარი, დასახლება არაგუაია, არაგუაიას შტატი, ქალაქი არაგუარი. არის მდინარეები პარაგვაია და ურუგვაია და მიმდებარე ქვეყნები პარაგვაი და ურუგვაი. ამერიკაში რიონი მდინარის განზოგადებულ სახელად იქცა: რიო-დე-უანეირო (იანერის მდინარე), რიო ნეგრო (შავი მდინარე), რიო გრანდე (დიდი მდინარე), რიო ბერმეჟსო და ა.შ. არაგვაია ბასკურად ცივ წყალს ნიშნავს. საქართველოში არაგვი მართლაც ყველაზე ცივი მდინარეა, სასმელად ვარგისია და თბილისის ონკანებში ივლის-აგვისტოს სიცხეებშიც კი ყინულივით ცივი მოდის. საქართველოს არც ერთი სხვა მდინარე ასეთი ცივი არ არის და სასმელადაც არ გამოდგება. რიო ბასკურად მდინარეს ნიშნავს. ანუ ქართულ რიონსა და მთელ მის შენაკადებს ნარიანი მრავლობითის ფორმა აქვს: რიო-ნი – მდინარენი. ასევე არაგვსა და მთელი მისი შენაკადების სისტემას ჰქვია არაგვი – ცივწყალა.

შუმერში ქალაქ ერიდუში იდგა წყლის ღვთაების სადიდებელი ტაძარი „ენგურა“ – სახლი წმინდა წყლისა. ასევე გავრცელებული იყო წყლის ღვთაების კულტი კოლხეთშიც. აქ იყო წყლის ღვთაების სახელობის ქალაქი „დია სკურიში“ - დიოსკურია, დედაი წყლისა. სავარაუდოა, რომ წყლის სადიდებელი კულტიდან იყოს წარმომდგარი მდინარის სახელწოდებაც ენგური, რაც შუმერული ენის თანახმად ნიშნავს – სახლი წმინდა წყლისა ანუ წმინდა მდინარე. წყლის ღვთაების კულტი მთელ საქართველოში იყო გავრცელებული, რაზეც მეტყველებს საქართველოს ყველა კუთხეში შემორჩენილი ლეგენდები წყლის ალის შესახებ. ყველა მდინარეს ჰყავდა თავისი წყლის ღვთაება – ულამაზესი ოქროსთმაგაშლილი ქალის სახით.

არაგვის, რიონის, ენგურის მნიშვნელობები ქართულ ენაში

დაკარგულია, მაგრამ შემოგვინახა ბასკურმა და შუმერულმა ენებმა. აშკარაა, რომ არაგვის, რიონისა და ენგურის სახელწოდებები პროტობერული, პროტოქართული, ერთიანი წინარექართული ენიდან არის ქართულში შემორჩენილი.

დღეს ამერიკის აღმოჩენაში კოლუმბის პირველობისა აღარავის სჯერა. მეცნიერთა კვლევებით დადასტურებულია, რომ ძველი მსოფლიოს ხალხებს ბუნებრივი მიმოსვლა და კავშირი ჰქონდათ ევრაზიიდან იმ ხმელეთამდე, რომელსაც ახლა ამერიკა ჰქვია. თუკი წარსულში კაცობრიობას ჩვეულებრივი კავშირი ჰქონდა დედამიწის დასავლეთ ნახევარსფეროსთან, რატომ მოხდა, რომ ახალი წელთაღრიცხვის ახლო ხანებიდან მოყოლებული მე-15 საუკუნემდე ეს კავშირი გაწყდა, ევრაზიას დაავიწყდა დასავლეთი ნახევარსფერო და ხელახლა კოლუმბის აღმოსაჩენი გახდა? კაცობრიობის ისტორიაში ომები ყოველთვის იყო, მაგრამ ძველ მსოფლიოში ისინი ლოკალური, მცირე მასშტაბისა გახლდათ – მასში ჩვეულებრივ ორი ქვეყანა მონაწილეობდა. 5 ათასი წლიდან მოყოლებული ცივილიზებულ სამყაროში ბარბაროსული ინდოევროპული მოდემის მოძალების, ცივილიზებული ქვეყნების დაპყრობა-ასიმილაციისა და რღვევის პროცესი დაიწყო. ძველი წელთაღრიცხვის ბოლო საუკუნეებიდან მოყოლებული ამ ომებმა უზარმაზარი მასშტაბები მიიღო: ალექსანდრე მაკედონელის, რომის იმპერიის, არაბთა ხალიფატის, მონღოლთა და სელჩუკთა დაპყრობითმა ომებმა მთელი აზია და ევროპა მოიცვა. ამან გამოიწვია ცივილიზებული ქვეყნების დამონება, ქურუმთა კასტების განადგურება და კულტურის შეფერხება. ცივილიზებული ერების ძირითად საზრუნავად იქცა ფიზიკური გადარჩენა. ცივილიზებული სამყაროს პატრიარქალური ყოფის რღვევისა და სულიერებიდან მატერიალურ საზრუნავში ჩაძირვამ გამოიწვია ანტიკური მეცნიერული ცოდნის დავიწყება. ამ ომებმა დაამხო არაერთი ცივილიზებული სახელმწიფო, მოისპო ეგვიპტური, შუმერული,

იბერიული, კოლხური, ბიზანტიური, რომაული ცივილიზაციები, შეფერხდა საზღვაო მიმოსვლები, ამიტომ გაწყდა კავშირი დასავლეთ ნახევარსფეროსთან და კაცობრიობას დაავიწყდა მისი არსებობა. დღეს მსოფლიოს მეცნიერები ამერიკის პირველ აღმომჩენთა შორის მოიხსენიებენ სკანდინავიელ ვიკინგებს, ჩინელებს, იაპონელებს, ძველ ბერძნებს, ეგვიპტელებს, ფინიკიელებს, ძველ რომაელებს. სამწუხაროდ მათ შორის არავინ ახსენებს ერთ-ერთ უძველეს ცივილიზებულ მოდგმას – ძველ იბერიელებს.

ჩვენმა მრავალწლიანმა კვლევამ დაადასტურა, რომ ძველი იბერიელები იყვნენ ამერიკისა და პოლინეზიის პირველი საფუძვლიანი მკვლევარები და განმანათლებლები. მათ დიდი კვალი დატოვეს ამერიკელ ინდიელთა და პოლინეზიელთა რელიგიაში, ზეპირსიტყვიერებაში (ლეგენდებში, სიმღერებში), გეოგრაფიაში, მიწათმოქმედებაში, მეცნიერებაში, მედიცინაში, ქალაქმშენებლობაში, მეღვინეობაში, სახელმწიფო მმართველობაში, ენებში, დამწერლობაში. არც ერთ სხვა ერს, რომლებსაც მეცნიერები ამერიკის პირველადმომჩენებად თვლიან, იქ კულტურული კვალი არ დაუტოვებია. ჭეშმარიტება ისეთი რამ არის, რაც უნდა თვალი მოუხუჭო, ოდესღაც მაინც იჩენს თავს. მაიას, აცტეკების, ინკების ქურუმებმა და მეფეებმა ევროპელ კონკისტადორებს კეთილშობილურად განუცხადეს, რომ ეს ყველაფერი მათ მზის ამოსვლის მხრიდან ჩასულმა „თეთრმა ღმერთებმა“ ასწავლეს. მზის ამოსვლის მხარეს ამერიკისთვის კი ევროპა, ანუ ვრცელი იბერიული მიწა-წყალი იყო.

ინდოეთიდან ბრიტანეთამდე მოსახლე იბერიელებს შეეძლოთ თუ არა ამერიკის ხმელეთამდე ჩასვლა? ატლანტის ოკეანეს ძველად იბერიის ზღვა ერქვა. აქედან, კანარის კუნძულებიდან, რომელიც იბერიელთა საკუთრება იყო, ამერიკამდე მძლავრი ოკეანური დინება მიემართება. ტურ ჰეიერდალის თქმით ეს არის მსოფლიოს უდიდეს მდინარეზე

ამაზონზე ასჯერ უფრო დიდი და მძლავრი ღინება. ხოლო ამერიკიდან, პერუს ნაპირებიდან ასეთივე ღინება მიემართება წყნარ ოკეანეში პოლინეზიამდე. ამ ღინებებში მოხვედრილი გემები აუცილებლად, თანაც თავბრუდამხვევი სისწრაფით, ჩააღწევდნენ ამერიკამდე, იქიდან კი აღდგომის კუნძულამდე და მთელ პოლინეზიამდე, მეზღვაურებს სულაც რომ არ სდომებოდათ. მეცნიერები დიდხანს ამტკიცებდნენ, რომ ძველი დროის ზღვაოსნებს ჰქონდათ მცირე ნავეები და ტივები და ოკეანის გადალახვა არ შეეძლოთ. აღდგომის კუნძულის საიდუმლო გამოქვაბულებში ტურ ჰეიერდალმა აღმოაჩინა სამანძიანი დიდი ხომალდების გამოსახულებები. აბორიგენების თქმით ეს თეთრი ბელადების დიდი გემები იყო, რომლებზეც 300-400 კაცი ეტეოდაო. ანუ იმ თეთრ განმანათლებლებს ასეთი უზარმაზარი ხომალდები ჰქონდათ. ხოლო ჰეიერდალის დასკვნით, რომელმაც ეს ოკეანური ღინებები უბრალო ტივებით – „რა-2“-ით და „კონტიკით“ გადალახა, „ოკეანე დიდია, მაგრამ თვით ყველაზე უფრო პატარა გემიც მოახერხებს ბოლოს და ბოლოს მის გავლას, თუ ტალღებზე გაჩერება შეუძლია“.

ინდიელთა და პოლინეზიელთა ლეგენდებმა შემოგვინახა ზოგიერთი თეთრი მეფის, განმანათლებლისა და ზღვაოსნის სახელი და სადაურობა. ჩვენამდე ოდნავ დამახინჯებული ფორმით მოაღწიეს ამ სიტყვებმა. ვიდრე ამ სახელების განხილვას დავიწყებდეთ, უნდა დავადგინოთ, რა მიზეზით მოხდა ეს დამახინჯება – აბორიგენების მრავალსაუკუნოვან ლეგენდებში მოხდა დროთა მანძილზე ეს დამახინჯებები, თუ ევროპელებმა არასწორად, შეცდომით ჩაიწერეს მათგან ეს სახელები?

იბერიული ტომების სახელწოდებებს ძალზე დამახინჯებულად წარმოთქვამდნენ უშუალო მეზობელი წიგნიერი, განსწავლული ხალხები. ბაბილონურ, ასურულ, ძველ ებრაულ, სპარსულ, ურარტულ, ბერძნულ, რომაულ და სხვა უძველეს

წერილობით წყაროებში ერთი და იგივე ქართველი ტომის სახელწოდება სულ სხვადასხვა და წარმოუდგენლად დამახინჯებული ფორმით არის მოხსენიებული. მაგალითად: იბერების ტომი მოხსენიებულია, როგორც ტაბალები, თუბალები, თაბარები, ტიბარენები, (ჰეროდოტესთან), ტიბერნი (სტრაბონთან). მესხებს უწოდებენ მუშენებს, მუსკებს, მოსინიკებს, მოსოხებს და მოსხებს (ძველ ებრაულად), მუშენებს (ძველ ეგვიპტურად). კლარჯებს ურარტულ წარწერებში ეწოდებათ ქათარჯა, ძველ ბერძნულად – კოტარძენე; ჯავახებს – ჯაბახა, ზაბახა (ურარტულად), ლახებს – ლუშა, ლოსა (ურარტულად); ტაოხებს - დაიაენი (ასურულად), დიაოხი (ურარტულად). სამცხის უძველესი სახელწოდება ოძრახე ურარტულ წყაროებში მოხსენიებულია როგორც ვიძეროხი, შავშეთი – შეშეთი, შაშილუ. ჰენიოხები (ბერძნულ-რომაულად) – იგანიეხი (ურარტულად); კოლხი, კოლხა ურარტულ წარწერებში მოხსენიებულია როგორც კულხა, ჭანეთი ზოგ წყაროებში სწერია როგორც ჭანიკი; დვალეების ტომი მოხსენიებულია თაღის, ვაღის, უვალის სახელწოდებით. თუკი უშუალო მეზობელი და წიგნიერი ხალხები ასე დამახინჯებულად წერდნენ და წარმოთქვამდნენ იბერიული ტომების სახელებს, ხომ შეიძლებოდა იგივე შეცდომა მოსვლოდათ ამერიკელ და პოლინეზიელ აბორიგენებს? ამერიკა ევროპისგან უზარმაზარი ოკეანით არის დაცილებული, ხოლო წყნარი ოკეანე 178 მილიონი კვადრატული კილომეტრია და ამ უკიდევანო წყლის სივრცეში ცერცვის მარცვლებივით მიმოხეული პოლინეზიის კუნძულები უზარმაზარი მანძილით არის ერთმანეთისგან დაშორებული. ისინი მოწყვეტილი იყვნენ დიდ სახმელეთო ქვეყნებსაც. ამ მხრივ აღდგომის კუნძული ყველაზე შორს იყო – უახლოესი მანგარევის კუნძულიდან დაშორებულია 1500 მილით, კუნძულ პიტკერნიდან – 1100 მილით, ხოლო ამერიკიდან – 2030 მილით. მათ არ ჰქონდათ დამწერლობა და ისტორიული ამბები საუკუნეების მანძილზე

ზეპირად გადაეცემოდა თაობიდან თაობას. XVII საუკუნეში თეთრი რასისგან პოლინეზიის კუნძულებზე დაავადებების შეტანით მოსახლეობა 90 ათასიდან 2 ათასამდე შემცირდა, აღდგომის კუნძულზე კი – 4 ათასიდან 111-მდე. დაიღუპა ძველი ამბების მცოდნე მრავალი ქურუმი და არისტოკრატიული წარმოშობის მომღერალი, დავიწყებას მიეცა უამრავი ძველი ლეგენდა. ასევე დაიღუპა მაიას, აცტეკების, ინკების განათლებულ ქურუმი და მეფეთა კასტა და მათი წიგნები. ამის შემდეგ თითქოს მოსალოდნელი იყო, რომ მათთვის უცხო და შორეული ქვეყნისა თუ ზღვაოსნების სახელები დავიწყებოდათ ან XX საუკუნემდე დამახინჯებული ფორმით მოეტანათ. მაგრამ ასე არ მოხდა. აბორიგენებს შეცდომა არ მოსვლიათ. შეცდომა დაუშვეს ევროპელებმა, რომლებმაც არასწორად ჩაიწერეს ეს სახელები.

მეცნიერები ამბობენ, რომ ინდიელები და პოლინეზიელები ხმოვნებს განსხვავებულად წარმოთქვამდნენ და ევროპელის სმენა მათ ზუსტად ვერ აღიქვამდა. ამიტომ ამ სახელების უმეტესობა ესპანელებმა არაზუსტად, გარკვეული დამახინჯებებით ჩაიწერეს. უნგრელი მკვლევარი იანოშ ერდიოდი წერს: „წარმოთქმა და ტრანსკრიპცია სახელებისა ძალზე მიახლოებითია; სხვადასხვა ენებში და სხვადასხვა ეპოქაში გვხვდება სხვადასხვა ფორმები. საქმე ისაა, რომ ამ ხალხების ენა, ხმოვნების წარმოთქმა ძალზე განსხვავებული იყო ყველა ევროპული ენისაგან, ამიტომ ძნელია განსაკუთრებით დღეს, იმის დადგენა, თუ როგორ გამოთქვამდნენ ისინი ამა თუ იმ სიტყვებსა და სახელებს. ჩვენამდე სიტყვათა უმეტესობამ მოაღწია ესპანური დამახინჯებით“. (იანოშ ერდიოდი. ბრძოლა ზღვებისათვის. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ხანა. ბუდაპეშტი, 1985. გვ. 18). თვით პოლინეზიელი მკვლევარი ტე რანგი ხიროაც წერს: „ჩემი მშობლიური ენაა მაორული, მაგრამ გულახდილად უნდა ვაღიარო, რომ ვერასოდეს შევძელი სიტყვა-სიტყვით გაგება პოლინეზიის იმ

კუნძულების მცხოვრებთა საუბრისა, სადაც პირველად მოვხვდებოდი ხოლმე... ამიტომ რაც უნდა კარგად დაეუფლოს უცხოელი პოლინეზიურ დიალექტებს, ის ყოველთვის არასწორად წარმოთქვამს ხმოვნებს, ანდა არასწორი ინტონაციით გადმოსცემს თანხმოვან ბგერებს“. (ტე რანგი ხიროა. მზიური აღმოსავლეთის ზღვაოსნები. მოსკოვი. 1959, გვ. 158 და 155). გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მთავარი ენა ფონეტიკურად ძალზე არამყარია. იგივე პოლინეზიელი მკვლევარი ტე რანგი ხიროა წერს: პოლინეზიაში სხვადასხვა კუნძულის დიალექტები ერთმანეთისგან იმით განსხვავდება, რომ სიტყვებში ზოგიერთი თანხმოვანი იცვლება, რბილდება ან იკარგება, შეიძლება დაკარგული თანხმოვნის ნაცვლად სხვა თანხმოვანი ან ხმოვანი გაჩნდეს, ანდა ხმოვანი დიფთონგში გადავიდეს. დაკარგული ბგერები საუბარში პაუზით გადმოიცემა, წერისას კი – მძიმის ნიშნით. სიტყვა „რა“ (მზე) მარკიზელების კილოზე გამოითქმება როგორც „ა“; „რუნგა – უნა“; „რარო“ – „აო“. ახალზელანდიურად თუ ამბობენ „პო-კერე-კერე“, ჰავაიურ დიალექტზე ამბობენ – „პო-‘ელე’-ელე“, ტაიტურად – „პო-‘ერე’-ერე“. პოლინეზიური „პო-კანო-კანოს“ ნაცვლად ტაიტელები ამბობენ „პო-ტა ‘ოტა’ო“, ახალზელანდიელები – „პო-ტანგო-ტანგო“. ტაიტური „პო-კინი-კინის“ ნაცვლად სხვა კუნძულებზე ამბობენ „პო-ტინი-ტინი“. ზოგ დიალექტზე თუ ამბობენ „ჰავაი’ი“, სხვაგან – „ჰავაიკი“, „ჰაუაიკი“, „ავაიკი“; აქ უკვე „ვ“ თანხმოვანი შეცვალა „უ“ ხმოვანმა. ზოგ დიალექტზე არასრულად წარმოთქვამენ ცალკეულ თანხმოვნებს. (მზიური აღმოსავლეთის ზღვაოსნები. გვ. 64, 122, 194). ერთი სიტყვით პოლინეზიელები საუბრისას სიტყვებში ცალკეულ თანხმოვნებს „ყლაპავენ“, ან მოგუდულად, სანახევროდ წარმოთქვამენ. ევროპელის სმენა ამას ვერ აღიქვამს და ვერ შესძლებს ზუსტად ჩაწერას.

აღნიშნული გარემოებანი უფლებას გვაძლევს ევროპელების მიერ ჩაწერილ სახელებში ფონეტიკური შეცდომები



ან უზუსტობანი ვივარაუდლოთ და ვცადლოთ სწორი ფორმის დადგენა.

ინდიელთა და პოლინეზიელთა ლეგენდებში მოხსენიებულთა ზოგიერთი თეთრი მეფის, განმანათლებლისა და ზღვაოსნის სახელები: კონტიკი ვირაკონა, ხოტუ მატუა, მახარე, ბოჩინა, იბამნა, თოში, უტა, ატუა, კოხაი, კოიხუ, კოუხარა. უმეტესობა მათგანი აბორიგენებმა გააღმერთეს. ქართველ მეცნიერებს დღემდე ამ სახელებისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ, უცხოელ მეცნიერებს კი არასოდეს აზრად არ მოსვლიათ ამ სახელებში ქართული ძირები ეძებნათ. ალბათ საქართველოში არ მოიძებნება არც ერთი ჭკუათამყოფელი, ვინც შემედავება იმ ჭეშმარიტებაში, რომ მახარე, უტა, ბოჩინა, იბამნა წმინდა ქართული სახელებია. მახარე და უტა საქართველოში დღესაც ბევრ მამაკაცს ჰქვია. იბამნა - სიტყვის ძირია ძამ-ძამა-ძამან-ძმა. VI საუკუნეში იბერიის მეფე იყო ძამანაძი. თოში მაიას ქვეყანაში სეტყვის ღვთაება იყო. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონის თანახმად თოში ყინულია, რომელიც მდინარეს მოაქვს გაზაფხულზე; ყინული, ყინვა. მდინარეს რომ მდნარი თოვლ-ყინული მოაქვს და ძალიან ყინავს, თოში ის არის. აქედან - გათოშილი, გაყინული. საქართველოს ერთ-ერთი მთიანი მხარის - თუშეთის ძველი სახელწოდება იყო თოშეთი, ანუ ძალზე ცივი, მკაცრი კლიმატიანი ადგილი. ბოჩინა-ბოჩი, იგივე ბოტი საქართველოში წარმართული ღვთაება იყო. აქედან - კოლხური სახელი ბოჩია. ასევე წმინდა კოლხური გვარია მატუა, რომელიც ძალზე გავრცელებულია სამეგრელოშიც და ბასკეთშიც. რაც შეეხება მატუას სახელს, ჰეიერდალს უწერია ხოტუ, ქართულ თარგმანში წერია ჰოტუ. აქ ნამდვილად აშკარაა, რომ ევროპელებს შეცდომით აქვთ ჩაწერილი და, რახან გვარი კოლხურია, უნდა იყოს კოლხური სახელი ხუტა. ყველაზე დიდი მეფის ვირაკონას სახელის შესახებ კი ინდიელებმა ევროპელებს უთხრეს, რომ ეს სახელი ნიშნავს ზღვის ქაფივით თეთრ კაცსო. კონი ხომ კოლხურად

კაცია და ეს სახელიც კოლხური უნდა იყოს. სახელის წინა ნაწილი ევროპელებს დამახინჯებით უნდა ჰქონდეთ ჩაწერილი და ალბათ უნდა იყოს ჯგირი კოჩი – კარგი კაცი, დიდებული კაცი.

მატუას ერთ-ერთი ხომალდის მეთაურს ერქვა ტუ კოიხუ. პირველი და დიდი თეთრი მეფის ტიკის ქალიშვილს ერქვა ხინა კოუხარა, აღდგომის კუნძულის ერთ მეფეს, რომელმაც პირველმა გამოაქანდაკა გრძელყურიანი კავაკაეების ქანდაკება, ერქვა კოხაი. აღდგომის კუნძულზე მატუას ჩატანილ ხის წიგნებსა და იმ დამწერლობას ერქვა კოუხაუ რონგო-რონგო; კოიხუ, კოუხარა, კოხაი, კოუხაუ – რატომ არის მამაკაცის, მეზღვაურის, ქალის, მეფის, დამწერლობისა და წიგნის სახელწოდებაში ერთიდაიგივე სიტყვა? რას უნდა ნიშნავდეს სახელები – კოხაი, კოიხუ, კოუხაუ, კოუხარა? ამ სიტყვების ძირი ერთია: – კოხა-კოიხა-კოუხა. თუ გავითვალისწინებთ პოლინეზიური დიალექტების ფონეტიკურ ცვალებადობას, აშკარაა, რომ ეს არის სიტყვა „კოლხა“, რომელშიც პირველ შემთხვევაში „ლ“ თანხმოვანი დაკარგულია და დარჩენილია ფორმა კოხა. ხოლო მეორე შემთხვევაში „ლ“ თანხმოვნის დარბილების შედეგად გაჩენილია ხმოვნები „ი და „უ“ (კოიხა-კოუხა). ანდა აბორიგენებს სულაც შეიძლება არასრულად წარმოეთქვათ „ლ“ თანხმოვანი და ევროპელებს კოლხას მაგიერ კოუხა ჩაეწერათ. ეს მოსაზრება რომ სწორია, პოლინეზიის დიალექტებში რომ სიტყვებში “ლ” თანხმოვანი იკარგება, ამის დასადასტურებლად მოვიტანთ კიდევ ერთ მაგალითს: პოლინეზიელთა ერთ-ერთ ღვთაებას ჰქვია ტანგაროა. ზოგ კუნძულზე ამბობენ – ტაგალოა, ზოგან – ტა’აროა, ტანა’ოა. ტანგაროა = ტაგალოა = ტანა’ოა: ეს არის აშკარა მაგალითი, როცა სხვადასხვა კუნძულის მეტყველებასაში “რ” თანხმოვანი დარბილდა და გადაიქცა “ლ” თანხმოვნად, მერე კი საერთოდ დაიკარგა. სწორედ იგივე ფონეტიკური ცვლილება მოხდა სიტყვაში კოლხა = კოუხა = კოხა. უზენაესი ღვთაებისა და დიდი მეფის

ტიკის ქალიშვილი იყო ხინა კოუხარა. ხინა პოლინეზიურად ნიშნავს – ქალი, ქალიშვილი, ხოლო თუ ამ სიტყვებში უ-ს მაგივრად ღ უნდა იგულისხმებოდეს, მაშინ „კოუხარას“ სწორი ფორმა უნდა იყოს „კოლხარა“, ანუ ხინა კოუხარა და ხინა კოლხარა უნდა ნიშნავდეს – კოლხის ქალი, კოლხი ქალი. როგორც ეტყობა, თეთრ განმანათლებელთაგან ბევრნი მოიხსენიებოდნენ ზოგადი ტომობრივი სახელით–კოლხი, რომელშიც მათი სადაურობა იყო კოდირებული. აკი ჩვენში დღესაც ასეა – უცხოელს მისი ეროვნული ნიშნით მოვიხსენიებთ ხოლმე. ზოგადი ტომობრივი სახელით მათ დარჩენას თავმდაბლობის გარდა იმანაც შეუწყო ხელი, რომ იმ შორეულ წარსულშივე ამერიკის კონტინენტზე გავრცელებული იყო ეს ტერმინი. მექსიკის ტერიტორიაზე არსებობდა სახელმწიფო აკოლხუა, რომლის დედაქალაქიც იყო ტესკოკო. (იხ. ვ. გულიაევი, მაიას ქალაქ-სახელმწიფოები. გვ 140. მ. გამ. „ნაუკა“. 1979წ). ანუ იმ შორეულ წარსულში ამერიკაში უკვე არსებობდა ქართული, კოლხური კოლონია – მეორე კოლხური ქალაქ-სახელმწიფო. ამას უნდა შეეწყო ხელი ხალხში ზედწოდება კოლხის გავრცელებაში. ისტორიამ შემოგვინახა სიტყვა კოლხეთის უძველესი ფორმა: გვქონდა ერთ-ერთი ძველი სახელმწიფო კოლხა. „ა“ თავსართიანი ფორმა კი მის უფრო დიდ სიძველეზე მეტყველებს.

რით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ სულ სხვადასხვა ცნების – ქალის, ვაჟის, დამწერლობის, მეფისა და ქვეყნის სახელწოდება გამოხატულია ერთი და იგივე სიტყვით – „კოლხი“ (კოიხუ, კოუხაუ)... ხომ არ მიანიშნებს ეს ფაქტი იმაზე, რომ მატუასა და ტიკის შვილების სახელებში მათი იბერიული წარმოშობა იყო ხაზგასმული, ხოლო წარმოშობით კოლხი მატუა იმ დამწერლობას კოლხურს უწოდებდა? აღდგომის კუნძულზე დღეს მცხოვრები გრძელეყურიანების, ანუ მატუას შთამომავლების გვარებში „ხარივერი“, „ვარივერი“ სწორედ მათი იბერიული წარმოშობაა კოდირებული.

ირლანდიაში წინარეისტორიულ ხანაში დამკვიდრებული მეფე მილეხის ხუთი ვაჟიშვილიდან, რომლებმაც იქ იბერიულ მოდგმას დაუდეს სათავე, ერთ-ერთ ძმას იბერი ერქვა. მის მიერ დაარსებულ სახელმწიფოსაც მისი სახელის მიხედვით ეწოდა იბერნია. ბიბლიური ქართველი მეფე-მთავრების სახელები იყო ქართლოსი, მცხეთოსი, ეგროსი, კახოსი, კუხოსი, გარდაბოსი, კავკასოსი... მათი სახელები შემდეგ მათ სამფლობელოებს – საქართველოს ცალკეულ მხარეებს ეწოდა. კოლხეთის უძველესი სახელწოდება იყო აია. სატახტო ქალაქს ერქვა ქუთაია, ხოლო კოლხეთის ლეგენდარული მეფის სახელი იყო აიეტი. ბასკები თავიანთ ქვეყანას დღესაც ეუსკალდუნს, ხოლო თავის ხალხს ესკუარას, ეას სკულარს, ეას შვილებს უწოდებენ. აია-ეა ექვსი ათასი წლის წინ ცოდნის და სიბრძნის ღვთაება იყო შუმერში. აქაც, როგორც „კოუხაუს“ შემთხვევაში, იმავე ფაქტთან გვაქვს საქმე – ერთი და იგივე სიტყვა არის დაფიქსირებული ტომის, ხალხის, ქვეყნის, ქალაქის, მეფისა და ღვთაების სახელწოდებებში. ეს ფაქტები იმაზე მეტყველებს, რომ იბერიულ სამყაროში შორეულ წარსულში წესად იყო მიღებული საკუთარ სახელებში მათი ეროვნული წარმოშობის საზღვასმა, ტომის სახელწოდების აღნიშვნა. ეს იმიტომ, რომ მრავალი საუკუნის შემდეგ კაცობრიობას შესძლებოდა გაგება, მთელს მსოფლიოში მოღვაწე თეთრი განმანათლებლები სადაურები, რომელი მოდგმის ხალხი იყო. ამ ტრადიციის გაგრძელება იყო შემდეგ საუკუნეებშიც უცხოეთში მოღვაწე ქართველი განმანათლებლების ფსევდონიმები: პეტრე იბერი, იოანე მოსხი, ილარიონ ქართველი, მირდატ ლაზი... ანდა დღევანდელი საკუთარი სახელები – ქართლოსი, ივერი, კახი...

პოლინეზიურმა ენამ შემოგვინახა სხვა სიტყვებიც, რომლებშიც თეთრი განმანათლებლების ტომობრივი კუთვნილება-სადაურობა უნდა იყოს კოდირებული. აღდგომის კუნძულზე თეთრ მეფეებს და მათ შთამომავლებს უწოდებდნენ

კავაკავებს. რას ნიშნავს სიტყვა კავაკავი? ამ სიტყვაშიც თეთრი ბელადების სადაურობა უნდა იმალებოდეს. რას ნიშნავს სიტყვა კავკასია, დღეს ამის ახსნა ძნელია. მაგრამ რას უწოდებდა ქართველი კაცი კავკასიას შემოკლებით, ცნობილია. ოსეთის დედაქალაქს ძველად ერქვა კავკავი. ასეა მითითებული ვახუშტი ბატონიშვილისა და იაკობ გოგებაშვილის შედგენილ რუკებზეც. XIX საუკუნეში რუსებმა რომ კავკასიის დაპყრობა დაიწყეს, აქ შექმნეს ციხესიმაგრე დიდმპყრობელური სახელწოდებით ვლადიკავკაზი - „ვლადიკა კავკაზა“, კავკასიის მპყრობელი. ქართველები ამ ქალაქს ბოლო ხანებამდე კავკავს უწოდებდნენ. ქართულ ენაში დღეს ცოცხალია სიტყვა კავკავი და სიცივისგან აკანკალებულ, გათოშილ, ძალზე შეციებულ არსებას ნიშნავს. ამბობენ – სიცივისგან კავკავებსო. ეტყობა თავდაპირველად სიტყვა კავკავი ერქვა საქართველოში ყველაზე ცივ ადგილს, მარადიული ყინულით მოხილ მთაგრეხილს და ეს სახელწოდება ქალაქს იქიდან შერჩა. ამას ადასტურებს იაკობ გოგებაშვილის სიტყვებიც: „ოსები არიან მთის ხალხი. მათ უჭირავთ შუა წელი კავკასიონის ქედისა ხევსურეთიდან დაწყებული სვანეთამდე. ოსეთი აკრავს მუდამ თოვლით შემოსილს ქედსა, რომელიც თეთრად არის შელესილი ზაფხულის პაპანაქებაშიაც. ამიტომ მეტად ცივი ქვეყანაა. სიცივის გამო აქ არ მოდის არც პური, არც სიმინდი, არც ვენახი ხარობს. ერთადერთი საზრდო ოსებისა არის ქერი. მთავარს სახსარს ცხოვრებისას ოსები შოულობენ შინაური პირუტყვის მოშენებით“.

(ბუნების კარი. 1912წ. გვ.540). უძველეს წარსულში კავკავი კავკასიონის მთელი მთაგრეხილის სახელწოდება უნდა ყოფილიყო. ეს სახელწოდება პროტობერული, წინარექართული ენიდან შემორჩა ისევე, როგორც არაგვის, რიონის, ენგურის სახელწოდებები, რაზეც დასაწყისში გვქონდა საუბარი. საუკუნეების მანძილზე სახელწოდებამ ოდნავი ფონეტიკური ცვლილება განიცადა და მივიღეთ: კავაკავი – კავკავი – კავ-

კასი – კავკასია. აღდგომის კუნძულელთა სიტყვა კავაკავი და ქართული კავაკავი ერთი და იგივეა და კავკასიას ნიშნავს. ანუ აღდგომის კუნძულზე თეთრი ბელადების მეტსახელი კავაკავი კავკასიელს ნიშნავდა.

ხუტა მატუა თავის სადაურობას უფრო კონკრეტულადაც მიუთითებდა. ის ამბობდა, რომ ხონგადან იყო. ამიტომაც დასახლებას, რომელიც მატუამ აღდგომის კუნძულზე შექმნა, დღეს ხონგაროა ჰქვია. შესაძლოა მატუა აქ გულისხმობდა დასახლებულ პუნქტს, საიდანაც ის იყო. ან იქნებ მრავალი ათასი წლის წინ კოლხეთში არსებობდა ხონგას ტომი, მერე გაქრა და მის სახსენებლად დარჩა საქართველოში დასახლება ხონი, პირინეებში, ბასკეთში კი – ხიხონი?

თეთრი ბელადების შთამომავლებს აღდგომის კუნძულის აბორიგენები გრძელყურიანებს უწოდებდნენ. გრძელი ყურები მეფური წარმოშობის საბუთი იყო, ამიტომ ისინი, მათ შორის ამერიკელი ინკების მმართველი ზედაფენაც, ყურებს ხელოვნურად იგრძელებდნენ და მეფური წარმოშობით ამაცობდნენ. ისინი გარეგნობითაც გამოირჩეოდნენ მუქკანიანი და შავთმიანი პოლინეზიელებისაგან – ჰქონდათ თეთრი კანი, ქერა და წაბლისფერი თმა, ცისფერი თვალები, იყვნენ პოლინეზიელებთან შედარებით გაცილებით ახონები – 190-200 სმ. სიმაღლისა. დანარჩენ პოლინეზიელებს მოკლეყურიანები ერქვათ. კუნძულის ქვის გიგანტებსაც, რომლებიც ძველი თეთრი მეფეების ქანდაკებებია, სხეულზე რაიმე სამოსის გამოსახულება არა აქვთ, მხოლოდ გრძელი ყურები და წელზე სარტყელები აქვთ გამოსახული. ქანდაკებებს თავზე წითელი ტუფისგან გამოთლილი ორტონიანი ქვები ედგათ. ტურ ჰეიერდალის ვარაუდით ეს წითელი თმების სიმბოლო უნდა ყოფილიყო – თეთრი მეფეები წითელი ან უღალთმიანი სკანდინავიელი ვიკინგები იყვნენო. 1934 წელს რუსმა არქეოლოგმა, აკადემიკოსმა კუფტინმა საქართველოში, წალკის რაიონში, ბეშთაშენის ნაქალაქარის გათხრებით დაადგინა,

რომ სამცხე-ჯავახეთის ერთ-ერთი უძველესი მკვიდრი ტომის – ტაოხების მოსახლეობა ძველად წაბლისფერ (წითელ) თმიანები იყვნენ. ამიტომ ჰეიერდალის ვარაუდი – ქლადთმიანობის გამო თეთრი მეფეების ვიკინგებად ჩათვლა სწორი არ უნდა იყოს. მკვლევარ რევაზ ერისთავის დასკვნით ქანდაკებათა წითელი თავსარქმელები წითელი ყაბალახების სიმბოლოა. მართლაც ქანდაკებათა აღნიშნული სიმბოლოების ახსნა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ თეთრ მეფეებს, ანუ კავაკავეებს კავკასიური, ქართული წითელი ყაბალახები ეხურათ და წელზე წითელი სარტყელები ეკეთათ. დღეს სომ ზუსტად ასეთია უძველესი ქართული სამოსი – სხეულზე მჭიდროდ შემოტმასნილი შავი ჩაქურა, თვალში საცემი წითელი ბრტყელი სარტყელი და წითელი ყაბალახი. დედამიწის ზურგზე მხოლოდ ქართველებს ჰქონდათ თავსაბურად ყაბალახი, რომელსაც ყურებთან ორივე მხარეს ბოლოები გაშვერილი აქვს და გრძელი ყურების შთაბეჭდილებას ტოვებს. საუკუნეების მანძილზე თეთრი ბელადების შთამომავლებს თავსაბურავეები–ყაბალახები დაავიწყდათ და მხოლოდ ყაბალახების გრძელი ყურები დაამახსოვრდათ. რატომ იყო ყაბალახები წითელი ფერის? ამ კითხვას კითხვითვე უნდა ვუპასუხოთ: რატომ არის დღეს სამაშველო ჟილეტები წითელი ან ნარინჯი ფერის? იმიტომ, რომ ეს ფერი შორიდან კარგად ჩანს და ხიფათში ჩაგარდნილის შემჩნევა ადვილია. (ამავე მიზეზით აცვიათ ასეთი ფერის ჟილეტები გზის ხელოსნებსა და მეფხოვეებს). იბერიელები კი, როგორც მათი სახელწოდება მეტყველებს, ზღვაოსანი ხალხი იყო და ამიტომ ჰქონდათ წითელი ყაბალახები. ასეთი თავსაბურავი საუკეთესოდ იცავდა მეზღვაურებს ქარიშხლის, წვიმისა და კოლოებისაგან, ამასთან ზღვაშიც შორიდან კარგად ჩანდა სამაშველო სამუშაოების დროს. ის სარტყელებიც რომ ნამდვილად წითელი იყო, როგორც თავსაბურავი ყაბალახები, ამაზე მეტყველებს ერთი ფაქტიც: პოლინეზიის ზოგ კუნ-

ძულზე უმაღლესი ბელადები წითელ ქამრებს ატარებდნენ იმის ნიშნად, რომ ისინი თეთრი ბელადების შთამომავლები იყვნენ. რადგან იქ ქსოვილები არ არსებობდა, ეს ქამრები თუთიყუშების წითელი ბუმბულისაგან იყო დაწნული. მათზე უფრო ნაკლები, ანუ არამეფური წარმოშობის ბელადები ყვითელი ბუმბულისაგან დაწნულ ქამრებს ატარებდნენ. ამრიგად წითელი ფერის ქამრები, გრძელი ყურები, თეთრი კანი და ქდალი (ქერა) თმები აბორიგენებში მეფური წარმოშობის, თეთრი ბელადების შთამომავლობის ნიშანი იყო. სწორედ ამიტომ აქვთ აღდგომის კუნძულის ქვის ქანდაკებებს გამოსახული მხოლოდ თვალში საცემი ატრიბუტები – წითელი ქუდეები და სარტყელები.

ტურ ჰეიერდალმა ერთხელ აღდგომის კუნძულის გრძელყურიანები შეკრიბა იმის გასარკვევად, თუ როგორ ახერხებდნენ მათი წინაპრები ქვის უზარმაზარი ქანდაკებების მოჭრას პრიმიტიული ქვის ცულებით, რომლებიც უძველესი დროიდან ეყარა ქვის სამტეხლოებში; გრძელყურიანებმა წინა დამით ქვისმთელეთა სარიტუალო სიმღერის შესრულება დაიწყეს. ამ სიმღერას შორეულ წარსულში მატუას ხალხი ქანდაკებებზე მუშაობის დროს ასრულებდა. ჰეიერდალი წერს, რომ ამ სიმღერაში რაღაც უცნობს და ისტორიამდელს შეიგრძნობდა კაცი. ჰანგი საოცრად მრავალხმიანი იყო. ამ გუნდში ერთი მკვეთრი, გროტესკული, მაღალი ხმა გამოირჩეოდა. ის თითქოს მელოდიას არ ეთანხმებოდა, მაგრამ მთლიანობაში საოცარ შთაბეჭდილებას სტოვებდა. ჯერ ორი კაცი დაიწყებდა სიმღერას, გარკვეული დროის შემდეგ მათ აჰყვებოდა მთელი გუნდი. მაღალი, გროტესკული ხმა შემდეგ ჩაერთვებოდა სიმღერაში. ეს ხმა რაღაც სულ სხვა მელოდიას მღეროდა, მაგრამ სიმღერაში თავისებურ ჰარმონიულ შთაბეჭდილებას ახდენდა. „აღდგომის კუნძულის საიდუმლოებაში“ იგი წერს: „გვაჯადოვებდა მელოდია, თითქოს გამქრალი ქვეყნიდან გამოგზავნილი მისალმება. მკვეთრი, გროტესკული,



ერთფეროვნად აუღერებელი ერთი ხმა მამაკაცთა ამ გუნდში ქმნიდა აუწერელ, თავისებურ შთაბეჭდილებას. ეს ხმა ეკუთვნოდა ღრმად მოხუცებულ, ნაფოტივით გამხდარ ქალს... ჯერ დამწყებმა გააბა, შემდეგ დანარჩენები მიეშველნენ, ამასთან დედაბერი უკანასკნელი ამღერდა... ამისი მსგავსი სიმღერა მომისმენია პუებლოს ინდიელებთან, ნიუ მექსიკოში... – ეს ძალიან ძველი რიტუალი გახლავთ, ქვის მთელელთა ძველებური სიმღერა. – თქვა მამასახლისმა სერიოზულად. – ასე უმღეროდნენ მთავარ ღმერთს ატუას, რათა წარმატება ჰქონოდათ იმ სამუშაოზე, რისი შესრულებაც ელოდათ“. მეორე დღეს გრძელყურიანებმა ქვის სამტეხლოში მუშაობა დაიწყეს, „ისევ გააბეს ქვის მტეხელთა გუშინდელი სიმღერა. ერთდროულად მელოდიის ტაქტზე, ყოველი მათგანი ნაჯახს ასწევდა და კლდეს დაჰკრავდა. განსაცვიფრებელი სანახაობა იყო. შესანიშნავი მელოდია!... მომღერლები გატაცებული მუშაობდნენ, მხიარულად იღიმებოდნენ და კვეთდნენ–კვეთდნენ და მღეროდნენ. განსაკუთრებით გატაცებული იყო აწოწილი მოხუცი, რომელიც განაპირას მუშაობდა; გრძნობის მოზღვაებისაგან ცეკვას მოჰყვა და ფეხიც ააყოლა დარტყმების ტაქტსა და სიმღერას“. (ტ. ჰეიერდალი „აღდგომის კუნძულის საიდუმლოება“. თბ. 1985წ. გვ. 149).

სად მექსიკა და სად წყნარ ოკეანეში დაკარგული პაწია აღდგომის კუნძული, ერთმანეთისგან უზარმაზარი მანძილით დაშორებულნი, ამასთან აბსოლუტურად განსხვავებული ეთნიკური მოდგმა – წითელკანიანი ინდიელები და შავგვრემანი პოლინეზიელები. რატომ უნდა ჰქონოდათ მათ ერთნაირი, თანაც პრეისტორიული ხანის სიმღერები? საერთო მათ სწორედ თეთრი განმანათლებლები და მასწავლებლები ჰყავდათ – ძველი იბერიელები. თუ დავაკვირდებით, როგორ აქვს ჰეიერდალს აღწერილი ქვისმთელელთა უძველესი სიმღერა, უდაოდ გაგვახსენდება გურული მრავალხმიანი კრიმანჭული სიმღერა. მთელ მსოფლიოში მხოლოდ ქართველი კაცისთ-

ვის იყო დამახასიათებელი შრომა სიმღერით; თანაც ყველა სამუშაოსთვის განსხვავებული შრომის რიტმის შესამაბისი სიმღერა ჰქონდათ: მიწის ხვნაზე-გუთნისდედური „ოროველა“, თოხნაზე-„ოდოია“, მკაზე-„პოპუნა“, თიბვაზე-„მთიბლური“, მოსავლის გადაზიდვაზე-„ურმული“, დაბინავებაზე-„ნადური“, ხეტყის მოჭრა-დაცურებაზე-„მეტივეური“ და ა.შ. ქართველმა კაცმა არა მარტო შრომის, გლოვის შესამსუბუქებლადაც კი მოიგონა შესამაბისი სიმღერები – „ხმით ნატირალები“. მსოფლიოში არ არსებობს მეორე ხალხი, ვისაც ასე მრავალფეროვანი დარგობრივი – ჭირისა და ღვინის შესაფერისი შემამსუბუქებელი სიმღერები ჰქონდეს. ამიტომ ის ქვისმთლელთა უძველესი სიმღერაც-ქვის სამტეხლოში მძიმე შრომის შემამსუბუქებელი მრავალხმოვანი სიმღერა, იმ გრძელყურიან ბერიკაცს რომ ცეკვაც კი დააწყებინა და ასე რომ ჰგავს უძველეს ქართულ კრიმანჭულს, მექსიკელ ინდიელებსაც და პოლინეზიელ გრძელყურიანებსაც სწორედ ვირაკოჩას და მატუას ხალხმა – იბერიელებმა ასწავლეს. მრავალხმოვანი სიმღერა, მათ შორის კრიმანჭული ხომ მსოფლიოში მხოლოდ იბერიულ მოდგმას ახასიათებს.

მეცნიერები ამბობენ, რომ ინკების მმართველი ზედაფენა ჩაკეტილი კასტა იყო – ისინი განსაკუთრებულ, მათთვის გასაგებ ენაზე ღაპარაკობდნენ და თეთრი მეფეების შთამომავლობის ნიშნად ყურებს ხელოვნურად იგრძელებდნენ. რუსი მკვლევარი ა. გორბოვსკი წერს: „იბერიელების ენა, სამხრეთ ინდოეთში მცხოვრები დრავიდების ენის მსგავსად, მსოფლიოს არც ერთ ენას არ უკავშირდება, ერთადერთი, რაც იბერიელთა ენას სხვა ენებს აახლოვებს, მისი სტრუქტურაა. ამასთან, რაგინდ საკვირველიც უნდა იყოს, აახლოვებს არა ევროპულ ენებს, არამედ ამერიკელ ინდიელთა ენებს“. (ქ. „ცისკარი“, 1969. №12. „დედამიწის ძველთაძველი გამოცანები და ახალი ჰიპოთეზები“.).

იტალიის მკვიდრი ძველი იბერიული ტომი ეტრუსკები ახა-

ლი წელთაღრიცხვის დადგომამდე გადაშენდნენ. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში კი იტალიელმა ენათმეცნიერმა მარო გატონიელმა აღმოაჩინა, რომ სამხრეთ ამერიკაში, გვიანაში მცხოვრებ აკავაუოს ტომის ენა ეტრუსკულს ჰგავდა. ეს მსგავსება გასაოცარიყო – აცხადებდა მეცნიერი. (ქ. „ზნანიე სილა“. 1966. №4).

დაბოლოს: ჰეიერდალმა აღდგომის კუნძულის თეთრი ბელადების შთამომავლების–გრძელყურიანების სისხლის ანალიზით დაადგინა, რომ ისინი კავკასიურ რასას მიეკუთვნებიან, რაც ყველაზე დიდი საბუთია ჩვენს კვლევაში. ჰეიერდალმა ძველი იბერიული ცივილიზაციის შესახებ არაფერი უწყოდა, ამიტომ გაოცებულმა ცოტა მორიდებულად განაცხადა: ისინი სისხლის ჯგუფით კავკასიური რასის მსგავსნი არიანო. ის ისე გარდაიცვალა, რომ ვერაფრით მიხვდა, რა კავშირი ჰქონდა აღდგომის კუნძულს კავკასიასთან, საიდან გამოტყვევრა მის კვლევა-ძიებაში ეს კავკასიური რასა. ამიტომ თქვა – კავკასიურის მსგავსი რასაო. ამ დიდმა ეთნოგრაფმა ხომ კარგად იცოდა, რომ მეცნიერებაში დადგენილია და არსებობს მკვეთრად ჩამოყალიბებული 5 რასა: ნეგროიდული (შავკანიანი), მონღოლოიდური (ყვითელკანიანი), ამერიკული (წითელკანიანი), მაღალიზიური და კავკასიური და არ არსებობს რომელიმე მათგანის მსგავსი რასა. რაც შეეხება კავკასიურ რასას, რომელსაც ევროპულსაც უწოდებენ, ეს არის იბერიული რასა, სხვა რასებისგან მკვეთრად განსხვავებული თავის ქალით, იერსახით, ფსიქიკით, ზნეობით, კულტურით და მეცნიერებაში უნდა დამკვიდრდეს ტერმინით – იბერიული რასა.

P.S. ჰეიერდალს რომ არ ჰქონდა ცნობები იბერიული ცივილიზაციის შესახებ, ამას შემდეგი ფაქტიც ადასტურებს: მან დაამტკიცა, რომ ამერიკაში ცივილიზაცია ევროპიდან ჩავიდა, იქიდან კი – აღდგომის კუნძულზე. ჯერ ის ვარაუდობდა, რომ ისინი ვიკინგები უნდა ყოფილიყვნენ, მერე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეს ხმელთაშუა ზღვის აუზიდან უნდა მომ-

ხლარიყო, მაგრამ ვერ თქვა, ამ აუზიდან რომელი ძველი ერის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ ისინი, ამიტომ „რა-1“ და „რა-2“-ით ხმელთაშუა ზღვიდან ამერიკისკენ ექსპედიცი-აში გადაწყვიტა მიეწვია 17 სხვადასხვა ერის წარმომადგე-ნელი. სამწუხაროდ მათ შორის არ იყო ყველაზე კანონიერი წევრი – ქართველი ან ბასკი. მაშინ საბჭოთა კავშირის მეც-ნიერებთა აკადემიის ჟურნალ „ვოკრუგ სვეტაში“ გავგზავნე თხოვნა, რომ ჰეიერდალის ექსპედიციაში ჩავეერთე, როგორც ძველი იბერიელების შთამომავალი, რადგან ამ თემაზე უკვე ვმუშაობდი. ჟურნალიდან ვირეშმაკური პასუხი მომივიდა, რომ მათ არაფერი იცოდნენ ჰეიერდალის ექსპედიციის შესახებ. არადა ჰეიერდალმა ეს ინფორმაცია წინასწარ საერთაშორი-სო პრესაში გამოაქვეყნა. ხოლო როცა ეს ექსპედიცია შედგა, აღმოჩნდა, რომ მასში საბჭოთა კავშირიდან გაუშვეს რუსი იური სენკევიჩი, რომელიც ტელევიზიით გადმოსცემდა ხოლმე დოკუმენტურ ფილმებს „მსოფლიოს გარშემო“. რას იზამდი, ასეთი იყო დიდმკვრობელი იმპერია – კოსმოსისა არ იყოს, ყველა საქმეში რუსი უნდა ყოფილიყო პირველი. სენკევიჩმა კი ამ ექსპედიციიდან ვერავითარი დასკვნა ვერ გააკეთა – მეცნიერებას ვერაფერი შესძინა.

### **„კოუხაუ – რონგო-რონგო“ – კოლხური დამწერლობა?**

აღდგომის კუნძულის მოსახლეობის თქმით ხუტა მატუამ იქ ჩაიტანა საიდუმლო ნიშნებით ნაწერი სამოცდაშვიდი და-ფა. ახალზელანდიელი მეცნიერის ტე რანგი ხიროას განმარ-ტებით ამ „ხის წიგნებს“ ერქვა „კოუხაუ“ (მზიური აღმოსავ-ლეთის ზღვაოსნები. 1959. გვ. 188).

ტუამოტუს არქიპელაგის მითების თანახმად „რონგო“ იყო მჭევრმეტყველებისა და სიბრძნის მფარველი ღვთაება. მან-გარევის კუნძულებზე კი „რონგო-რონგო“ ერქვა არისტოკ-რატული წარმოშობის მომღერლებს, რომლებმაც კარგად

იცოდნენ ძველი ისტორია და ქურუმების მიერ გამართულ დღესასწაულებზე ამ ძველ ამბებს სიმღერით გადმოსცემდნენ, ხოლო აღდგომის კუნძულზე თვით ამ დაფებს უწოდებდნენ „კოუხაუ-რონგო-რონგოს“. კუნძულელთა გაგებით ეს უნდა ნიშნავდეს განათლებას, სიბრძნისმეტყველებას, სიბრძნის ხელოვნებას, მჭევრმეტყველებას, ანუ ხის დაფებს, რომლებშიც კოუხაუს (ანუ კოლხების) სიბრძნე იყო ჩაწერილი. ბასკებისა და კოლხების უძველესი სახელწოდებებიც – ეა-აია ცოდნისა და სიბრძნის ღვთაებიდან მოდის. ანუ სამივე შემთხვევაში ამოსავალი, საწყისი არის ცოდნა, მეცნიერება, მჭევრმეტყველება, რომელიც ღვთაების დონეზეა აყვანილი. ქვეყნისა და ხალხისათვის ამ სახელწოდების მიკუთვნება იმაზე მიანიშნებს, რომ იგი ყველაზე მთავარი დამახასიათებელი თვისება იყო ძველი იბერიული სამყაროსათვის. ინდიელთა და პოლინეზიელთა ლეგენდებშიც ხაზგასმითაა იმაზე ლაპარაკი, რომ ვირაკოჩას, მატუასა და სხვა თეთრი ღმერთების უპირველესი მისია ხალხის დაპყრობა-დამონება კი არ არის, არამედ საგანმანათლებლო საქმიანობა, ხალხში მეცნიერული ცოდნის შეტანა, ველური საზოგადოების გონებრივი და ზნეობრივი განწმენდა-გაკეთილშობილება, მეურნეობის აღორძინება.

პოლინეზიის არც ერთი კუნძულის მითებში არავითარი ხსენება არ არის ამ დაფებისა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს დამწერლობა პოლინეზიიდან არ შესულა აღდგომის კუნძულზე. აღდგომის კუნძულის ლეგენდებში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ ისინი აღმოსავლეთის მხრიდან მიიტანა მატუამ. ტერანგი ხიროა აქვე შენიშნავს, რომ როცა მომდერალი სიმღერას ასრულებდა, თან ხელში ასეთი დაფა ეჭირა. როცა ერთ კუნძულელს კოუხაუს დაფა უჩვენეს, მან იგი ხელში დაიჭირა და სიმღერა დაიწყო. მან ნიშნების ამოკითხვა არ იცოდა, მაგრამ იცოდა, რომ მასზე ძველი ამბავი იყო ჩაწერილი და სიმღერით უნდა შესრულებულიყო. „ვეროპელებს არასოდეს

ეპარებოდათ ეჭვი, რომ ამ დაფებზე ამოკვეთილი სხვადასხვა ნიშნები სიმღერის სიტყვებს შეესაბამებოდა და დამწერლობის ფორმას წარმოადგენდა“. – დასძენს იგი. (მზიური აღმოსავლეთის ზღვაოსნები. გვ. 188). სავარაუდოა, რომ ეს იქნებოდა ლექსად დაწერილი ამბავი, როგორც ეს იყო ძველ შუმერებში. დღეს რომ ქართველი კაცი უცხოეთში წავიდეს, ალბათ თან წაიღებს „ვეფხისტყაოსანს“ და საქართველოს ისტორიას. იქნებ მატუასაც თან დაჰქონდა კოლხეთის ისტორია, ან რომელიმე უძველესი ქართული ეპოსი?

ზოგიერთი ქართველი მეცნიერის აზრით მცირეაზიაში მცხოვრებ ქართველ ტომებს თავდაპირველად ხატოვანი და ლურსმული დამწერლობა უნდა ჰქონოდათ. საქართველოს წარსულის ერთი უთვალსაზიროესი მკვლევართაგანი პავლე ინგოროყვა შემდეგ მოსაზრებას გამოთქვამს: უძველეს ხანაში მცირე აზიაში ხეთას სამყაროს ხალხებმა შექმნეს ერთ-ერთი წამყვანი კულტურა ძველი აღმოსავლეთისა. მათში ძველი წელთაღრიცხვის მე-2 ათასწლეულიდან მოყოლებული ძველი წელთაღრიცხვის მე-7 საუკუნემდე ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ მოსხები (მესხები), თობელები (იბერები), კასხები (კოლხები), რომლებიც ქართველი ხალხის უშუალო წინაპრები იყვნენ. მათ შექმნეს მცირე აზიის ხეთურ-ქართველური იეროგლიფური დამწერლობა, რომელიც გავრცელდა კავკასიის ქართველურ ქვეყნებშიც. ძველი წელთაღრიცხვის მე-7 საუკუნეში მესხების ერთ-ერთმა მეფემ, გამოჩენილმა სახელმწიფო მოღვაწემ მითა მესხმა შექმნა ახალი, სრულყოფილი ანბანური დამწერლობა. მცირე აზიაში ძველი წელთაღრიცხვის მე-7 საუკუნის მეორე ნახევარში ხეთას სახელმწიფოებრივ გაერთიანებათა განადგურების შემდეგ მესხების, იბერების, კოლხების ერთმა ნაწილმა კავკასიისაკენ დაიხია. მათ თან მოიტანეს კავკასიაში ქართული ანბანური დამწერლობაც. ამ დროიდან მთავარმა ცენტრმა ქართველი ხალხის კულტურისა გადმოინაცვლა კავკასიაში, საქართველოს თანამედროვე

მიწა-წყალზე. ეს „აღფაბეცტური დამწერლობა, შემოდებული მე-7 საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა, მიღებულია კავკასიის ქართველურ ქვეყნებში. ხეთას ქართველური სამყარო და კავკასიის ქართველური ქვეყნები – იბერია და კოლხეთი – ერთ კულტურულ წრეს წარმოადგენს ამ ეპოქაში“. ძველი წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნეში, როდესაც ფარნავაზმა კოლხეთისა და იბერიის სამეფოების ბაზაზე შექმნა ერთიანი ქართული სახელმწიფო, „არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“. ანუ ფარნავაზმა ეს ქართული ასომთავრული დამწერლობა და ქართული ენა მთელი ქვეყნისთვის სავალდებულო სახელმწიფო დამწერლობად და სახელმწიფო ენად გამოაცხადა. (პ. ინგოროყვა. „პირველი პერიოდი ქართული ლიტერატურისა – ანტიკური ხანა“. თხზ. ტ. IV. თბ. 1978. გვ. 250). ამავე აზრისაა აკადემიკოსი სიმონ ჯანაშიაც. (ს. ჯანაშია, ტ. III. თბ. 1959. გვ. 192).

მატყამ კავკასიიდან აღდგომის კუნძულზე ჩაიტანა ხატოვანი დამწერლობით შესრულებული ხის წიგნები, ანუ მისი მოგზაურობა მოხდა უფრო ადრე, ვიდრე იბერიულ სამყაროში ანბანური დამწერლობა გაჩნდებოდა. იგი არ იცნობს არც ერთ ანბანურ დამწერლობას, რადგან მსოფლიოში ჯერ ასეთი დამწერლობები გამოგონებული არ არის. მატყა კარგად იცნობს და ფლობს იმ იეროგლიფურ დამწერლობას, რომელსაც ხმარობენ იბერიულ სამყაროში. მატყა ამ დამწერლობას კოლხურს უწოდებს. შესაძლოა სწორედ ეს იყო ის ხატოვანი დამწერლობა, რომელსაც ქართველები (იბერები, მესხები, კოლხები) თავდაპირველად ხმარობდნენ ლურსმულთან ერთად? სწორედ ასევე ქართველ ტომებში ხმარებული უძველესი ანბანურისწინა ხანის ერთ-ერთი ხატოვანი დამწერლობის ნიმუშია კავკასიის მთებში, საქართველოს ერთ-ერთ მაღალმთიან მხარეში – ხევსურეთში ამ ბოლო ხანებში აღმოჩენილი წარწერები. სამწუხაროდ ქვებზე შესრულებული ამ წარწერების

გამოვლენა-შეგროვება და მეცნიერული შესწავლა ჯერჯერობით არავის უცდია.

„კოუხაუ“ იეროგლიფური დამწერლობაა. მისი წერის პრინციპი ასეთია: სტრიქონები იწერება მარცხნიდან მარჯვნივ. როდესაც მწერალი პირველ სტრიქონს დაფის ბოლომდე ჩაწერდა, დაფას შემოაბრუნებდა და მეორე სტრიქონს კვლავ მარცხნიდან მარჯვნივ წერდა. ასე, რომ ყოველი მეორე სტრიქონი თავდაყირა გამოდის. ეს დამწერლობა აღდგომის კუნძულზე პირველად 1864 წელს აღმოაჩინა კათოლიკე მისიონერმა ეჟენ ეირომ. მან ეს უცნაური დამწერლობა ეშმაკეულად გამოაცხადა და მოსახლეობას მოუწოდა, რომ გაენადგურებინათ. ეირომ მოატანინა კუნძულებს ეს დაფები და ცეცხლში დაწვა. ზოგიერთებმა საგვარეულო სამალავებში მაინც შეინახეს რამდენიმე დაფა. ამჟამად სულ 20-25 პატარა ნიმუშიაა გადარჩენილი და ისინი პარიზის, ლონდონის, სანტიაგოს, ვაშინგტონის, ჰონოლულუს, პეტერბურგის მუზეუმებში ინახება. სამწუხაროდ „კოუხაუს“ ანუ კოლხას დამწერლობა დღემდე მეცნიერებმა ვერ გაშიფრეს.

მეცნიერთა ერთმა ნაწილმა აღდგომის კუნძულის დამწერლობასა და ინდოეთში მოხენჯო დაროში აღმოჩენილ დამწერლობას შორის მსგავსება აღიარა, თუმცა ამან ბევრ მეცნიერში დიდი გაოცება, გაოგნება და უნდობლობა გამოიწვია მათ შორის უზარმაზარი მანძილის გამო. უნგრელმა ენათმეცნიერმა ხევეშმა 174 ნიშნის მსგავსება დაადგინა. ხოლო გერმანელი მეცნიერის ჟოზე კარსტის დასკვნით მოხენჯო დაროს ცივილიზაცია შუამდინარეთიდან მოსულმა თეთრი რასის ადამიანებმა, ანუ იბერიელებმა შექმნეს და არა ინდოელებმა. აღდგომის კუნძულზე კი ეს ხატოვანი დამწერლობა ჩაიტანა იბერიელმა ზღვაოსანმა, კოლხმა ხუტა მატუამ. ეს შემთხვევითი დამთხვევა სულაც არ არის, არამედ მათ შორის ბუნებრივი, ლოგიკური (იბერიული) კავშირი არსებობს.

დაბოლოს რის დასკვნის საშუალებას იძლევა მატუას



„წიგნები“? ჰეიერდალის ვარაუდით აღდგომის კურძულზე თეთრი რასის ზღვაოსნები ჩასულან ახ.წ. აღ. I საუკუნეში. მან ეს თარიღი დაადგინა კუნძულზე გრძელყოფიანთა თხრილის გათხრით აღმოჩენილი ნახშირის ლაბორატორიული ანალიზით. მაგრამ მატუას ხის წიგნები აბათილებს ამ ვერსიას. მატუა ხმელთაშუა ზღვის აუზის, წინა აზიისა და კავკასიის ცივილიზაციის სამყაროდან ჩავიდა აღდგომის კუნძულზე. ანუ იმ სამყაროდან, სადაც რამდენიმე სახის იბერიული დამწერლობა არსებობდა. 2500-2700 წლის წინ არსებობდა ქართული ასომთავრული დამწერლობა; პირინეიზე – პირინეის იბერიული დამწერლობა; კანარის კუნძულებზე - „გუანჩეს“ ორგვარი დამწერლობა; პელაზგებისა და კრეტელების (ეგეოსის) კრეტული დამწერლობა; მანამდე იბერიელები ხმარობდნენ ლურსმულ დამწერლობას, რომელიც იბერიულმა მოდგმამ შემერებმა დაახლოებით 5300 წლის წინ შექმნეს. მატუა არც ერთ ამ დამწერლობას არ იცნობს. მისი ხის წიგნები შესრულებულია იეროგლიფური დამწერლობით და არა ანბანურით. ანუ უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს კოლხურ-იბერიული დამწერლობა დაახლოებით მოხენჯო-დაროს დამწერლობის დროინდელია, ანუ სავარაუდოდ 4500-5000 წლისა, ხოლო პირველი კავკასიელი ამერიკის კონტინენტზე გაცილებით ადრეა ჩასული. ამ ვერსიის სასარგებლოდ მეტყველებს მექსიკისა და ჩრდილოეთ ამერიკის არქეოლოგიური გათხრებიც.

მაშ როდის უნდა მომხდარიყო იბერიელების გადასვლა ამერიკაში და პოლინეზიაში?

**როდის უნდა მომხდარიყო იბერიელების გადასვლა ამერიკაში?**

გერმანელი მეცნიერის ვილჰელმ ჰუმბოლდტის თეორიის თანახმად იბერიული ცივილიზაცია ძვ. წ. მესამე ათასწ-

ლეულით თარიღდება (დაახლოებით 5000 წ.). ჰეიერდალის ვარაუდით ეს ცივილიზაცია დაახლოებით 5000 წლის წინ არის ამერიკაში ჩასული. ამერიკის ინდიელთა ლეგენდების თანახმად ის დიდი მეცნიერული ცოდნა, რომელსაც ისინი ფლობდნენ, მზის ამოსვლის მხრიდან ჩასულმა თეთრმა განმანათლებლებმა ჩაუტანეს. მზის ამოსვლის მხარეს კი იბერიის მიწა-წყალი იყო. მაიას კალენდარი 3373 წელს დაიწყო. ინკების კალენდარი კი 15 ათასი წლის ამბებს მოიცავს. მექსიკაში აღმოჩენილი უძველესი პირამიდა 13 ათასი წლის წინანდელია. ხუტა მატუა აღდგომის კუნძულზე იმ ეპოქაში უნდა ჩასულიყო, როცა ჯერ კიდევ არ იყო გამოგონილი რკინის იარაღები, რადგან მისი ხალხი – გრძელყურიანები ქვის ქანდაკებებს ჭრიდნენ ქვის ხელეჩოებით და არა რკინის სატეხებით. ჩრდილოეთ ამერიკაში აღმოჩენილი კავკასიელის ჩონჩხი 10 ათასი წლის წინანდელია. ბასკური სიმღერები რენე ლაფონის აზრით 10 ათასი წლისაა. სამხრეთ ამერიკაში კი კავკასიური რასა გაცილებით ადრე უნდა შესულიყო. ამერიკის არქეოლოგიური გათხრების თანახმად ყველაზე დიდი კულტურული ტალღა იქ პირინეის ნახევარკუნძულიდან 16 ათასი წლის წინ არის ჩასული. უნდა დავასკვნათ, რომ იბერიელები ამერიკაში პირველად დაახლოებით 15-17 ათასი წლის წინ არიან ჩასული.

ჰანს შანდლერი და სხვა მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ძველი წელთაღრიცხვის 20 ათასი წლის წინ კოსმოსში მოხდა დიდი ცვლილებები: მთვარე დასცილდა მარსს და დაუახლოვდა დედამიწას. დედამიწამ ღერძის დახრილობა 13 გრადუსით შეიცვალა და მოხდა ქვეყნიერების დიდი დაქცევა, გამყინვარება, მიწისძვრები, ვულკანური ამოფრქვევები, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს შეცვლა. ამიტომ პოულობენ დღეს არქეოლოგები დინოზავრების ჩონჩხებს პოლარულ ზონაში. რუსი მეცნიერის ანატოლი კიფიშინის დასკვნით, წარღვნის შემდეგ, ძვ. წ. 18 ათასი წლის წინ კავკასიაში

გამოხდნენ შუმერებამდელი პროტოქართველური ტომები. ამის შემდეგ მათ შექმნეს ის კულტურა, რომელმაც ხელმეორედ ფეხზე წამოაყენა მსოფლიო ცივილიზაცია. (ქურნალი „ტეხნიკა მოლოდიოკი“. 1975 წ. №12. გვ. 56). სწორედ ამან განაპირობა იბერიელთა მისია – დედამიწაზე საგანმანათლებლო საქმიანობა.

ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით დედამიწაზე ცივილიზებულ ადამიანთა მოდგმა უცხოპლანეტელებმა შექმნეს 25 ათასი წლის წინ.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ზვიად გამსახურდია წერს: „პროტოქართველები წარმოადგენდნენ რელიგიურ ელიტას კაცობრიობისას, სულიერი ცხოვრების ლიდერებს, უნივერსალურ კულტურტრეგერებს, რაც იოანე-ზოსიმესეული გაგებით, უნდა ყოფილიყო ნამდვილი სიცოცხლე ამ მოდგმისა და მისი საკრალური ენისა, რაც გრძელდებოდა უხსოვარი დროიდან ძვ. წ. III ათასწლეულის, ანუ კალი იუგას დასაწყისამდე. III ათასწლეულიდან კი იწყება ამ მოდგმისა და მისი საკრალური ენის პროფანირების, აღრევის, დამდაბლება-დაწუნების პერიოდი, რაც გამოიწვია კაცობრიობის მატურიაში ჩაძირვამ, ინდოევროპელთა მოძალეობამ, ისტორიულმა ბედუკუდმართობამ. ამავე პერიოდში პროტოქართული მოდგმა იწყებს რიცხოვრივად შემცირებას... ერთიანი ფუძე-ენა განიცდის დიფერენცირებას ენებად და ენაკავეებად, რაც გაგრძელდება ბაბილონის გოდლის დაცემის შემდგომ ენათა აღრევის პროცესებისა“. (ზ. გამსახურდია. წერილები. ესსეები. თბ. 1991 წ. გვ. 35-36).

კავკასიაში, წინააზიაში და ხმელთაშუა ზღვის აუზში იბერიული ცივილიზაცია გაანადგურა ბარბაროსთა მრავალსაუკუნოვანმა შემოსევებმა. ალბათ არაფერი გვეცოდინებოდა შუმერების შესახებაც, რომ არა ხანძარგამოვლილი და მიწაში ჩამარხული თიხის „წიგნები“. ამერიკაში მაიას, აცტეკების, ინკების სახელმწიფოები შედარებით დაცული იყო ასეთი

მოვლენებისაგან ჯუნგლების წყალობით. ევროპელ კონკისტადორებს რომ არ გაენადგურებინათ იქაური სახელმწიფოები, მათი მეცნიერება, კულტურა, იქაური წიგნები, რომ არ გაენადგურებინა მისიონერ მღვდელს ექვნი ეიროს „კოუხაურონგორონგოს“ ანუ კოლხური წიგნები, ალბათ იბერიული მოდგმის ამერიკული და პოლინეზიური საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ უტყუარი სურათი გვექნებოდა და მსოფლიოს მეცნიერებს მკითხაობა აღარ მოუწევდათ.

17000-5000 წ.წ. (ძვ. წ. III ათასწლეულამდე) – იბერიული კულტურის ზეობაა. 5000 წლიდან იწყება დაქვეითება. დღევანდელ მეცნიერებს სწორედ ამ დაქვეითების შემდგომი პერიოდის ცნობები აქვთ იბერიის შესახებ. ხოლო ზეობის ხანის შესახებ არაფერი უწყიან. ამავე დროს მსოფლიოს მრავალი ხალხის თქმულებებში აღნიშნულია თეთრი ადამიანის მათთან მისვლის ამბავი, თეთრი ბელადისა, რომელმაც მათ განათლება და მშვიდობა მოუტანა. დღეს უკვე მსოფლიო მეცნიერებაში სულ უფრო მტკიცედ იკიდებს ფეხს აზრი, რომ დედამიწის ცივილიზაციის ისტორიის კვლევა იბერიული ცივილიზაციის ფონზე უნდა ხდებოდეს. ეს არის პრობლემისადმი სწორი მეცნიერული მიდგომა. აქამდე ენათმეცნიერები ლინგვისტურ კვლევებს ინდოევროპული ენებიდან იწყებდნენ და არა იბერიულიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ ხურომ სახლის მშენებლობა საძირკვლის ნაცვლად სახურავიდან დაიწყო. ევრაზიაში ხომ ჯერ იყო პირველდაწყებითი მოდგმა – იბერიული რასა და მერე მოვიდა ინდოევროპული მოდგმა, რომელმაც იბერიულიდან ბევრი რამ შეითვისა და გაითავისა. ანუ დედამიწის ცივილიზაციის საძირკველი იბერიული ცივილიზაცია იყო. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ფრანგულ ენაში, მაგალითად, 4 ათასი სიტყვაა ქართული ენიდან შესული. აქედან ნახევარი ლიტერატურული ქართულიდანაა შესული, ნახევარი – კოლხურიდან და ბასკურიდან. ბერძნულ ენაში 4 ათასი პელაზგური (კოლხური) სიტყვაა

შესული. ამ ფაქტებს ვერ გავუქცევით. ენათმეცნიერი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე წერს: „თუ ჩვენ აქამდე მიგვანნდა, რომ ქართველური ენათმეცნიერებისათვის და საერთოდ, სხვადასხვა დარგის ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებისთვის აუცილებელია ინდოევროპული ენათმეცნიერების მონაცემების გათვალისწინება, ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინდოევროპული ენათმეცნიერების შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის აუცილებელია ქართველური ენათმეცნიერების მონაცემების გათვალისწინება. ჩვენი ღრმა რწმენით ახალი პერსპექტივები ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში გადაიშლება სწორედ ქართველური ენათმეცნიერების საფუძველზე. ქართველურ ენათა შედარებით-ისტორიული შესწავლის საფუძველზე“. ასე იქნება სხვა დარგებშიც. ეს იქნება ქართული ენისა და მოდგმის მკვდრეთით აღდგომის იონანე-ზოსიმესეული თეორიის გაცხადება.

2014 წ.





